

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგებები
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი თამაშობებიდან.....	11
6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები.....	11
7. კომერციული ხარჯები.....	11
8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	12
9. ფინანსური ხარჯი	12
10. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	12
11. სხვა არასაოპერაციო ხარჯი.....	12
12. ძირითადი საშუალებები	13
13. არამატერიალური აქტივები	14
14. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	14
15. წინასწარ გაწეული ხარჯები.....	14
16. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	14
17. ფული და ფულის ეკვივალენტები	14
18. კაპიტალი.....	15
19. გრძელვადიანი სესხები.....	15
20. საგადასახადო ვალდებულებები.....	15
21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	16
22. პირობითი ვალდებულებები	16
23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	16
24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	17

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ.....	19
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	20
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	21
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	21
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ.....	21
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.	22
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღისათვის, შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა ახსნა-განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის მოქმედი ფინანსური ანგარიშგების მომზადების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებვართ მარაგების ინვენტარიზაციას 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით რადგან აუდიტორებად დავინიშნეთ ამ თარიღის შემდგომ, სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ შევძელით საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულებების მოპოვება, რომ განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა აღრიცხულ მარაგებთან მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ჩვენ ვერ შევძელით დაგვედასტურებინა ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულების და დაგროვილი ცვეთის სისწორე. კომპანიის ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია თვითღირებულებით, მენეჯმენტი გეგმავს გამოიყენოს სტანდარტით დადგენილი ნებაყოფლობითი გამოწვევის და მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის, ძირითადი საშუალებების ღირებულებად აიღოს რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, მას შემდეგ რაც დასრულდება ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგების სრულად ასახვა.

კომპანიაში დიდი ხნის განავლობაში არ არის ჩატარებული ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია და დანომვრა. შენობა-ნაგებობების ჯგუფის გარდა, სხვა ძირითად საშუალებებზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საბალანსო ღირებულებით 2,363 ათასი ლარი, ჩვენ ვერ შევძელით დავრწმუნებულიყავით ძირითადი საშუალებების რაოდენობრივ სიზუსტეში, რადგან არსებული შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული აქტივის მიკვლევადობას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ თანხებთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგების სრულად ასახვა არ იყო დასრულებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღში. 2018 წლის განმავლობაში აღიარებულია შემოსულობა 266 ათასი ლარის ოდენობით, როგორც ზედმეტობა ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციის შედეგად, ჩვენ ვერ დავადასტურეთ აღნიშნული შემოსულობის აღიარების დროულობა და თანხობრივი სისწორე.

2017 და 2018 წლებში გაცემულია დივიდენდები, შესაბამისად, 3,968,686 და 5,955,663 ლარის ოდენობით. 2017 წელს საწესდებო კაპიტალის ნაშთი შემცირებულია 117,755 ლარით, 2018 წელს კი გაზრდილია 500,000 ლარით. ჩვენ ვერ წარმოგვიდგინეს დივიდენდების გამოცხადებასა და კაპიტალის გაზრდა/შემცირებასთან დაკავშირებული პირველადი დოკუმენტაცია. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ

საჭირო იყო თუ არა კორექტირების შეტანა კომპანიის საკუთარ კაპიტალთან ან ანგარიშგებაში წარდგენილ გამოცხადებულ და გაცემულ დივიდენდებთან მიმართებაში.

2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით კომპანიას აქვს გაცემული სესხი. აღნიშნული სესხი ექვემდებარებოდა გაუფასურებაზე შეფასებას მსს ფასს სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად. მენეჯმენტის შეფასებით სესხი არ არის გაუფასურებული და მოსალოდნელია მომავალში თანხის შემოსვლა კომპანიაში. ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და აუცილებელი მტკიცებულება რომ დავრწმუნებულიყავით სჭირდებოდა თუ არა კორექტირება წარდგენილ გაცემულ სესხს 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

ჩვენ გვჯერა, რომ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები არის საკმარისი და სათანადო პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

სხვა საკითხები

კომპანიის ფასს-ზე გადასასვლელი წინასწარი ანგარიშგების აუდიტი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის სხვა აუდიტორებმა ჩაატარეს, რომლებმაც ხსენებულ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოსცეს არამოდიფიცირებული დასკვნა.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 18-23 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგებო წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და

- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, მის ფასს-ის მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვლელობაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ

დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო



დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეი-თი-ეი ფინანსური აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

27 სექტემბერი, 2019

თბილისი, საქართველო

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი თამაშობებიდან	5	36,917	38,611
სხვა საოპერაციო შემოსავალი		112	102
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(15,436)	(15,068)
საერთო მოგება		21,593	23,645
კომერციული ხარჯები	7	(7,157)	(7,244)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(9,884)	(9,244)
საოპერაციო მოგება		4,552	7,157
ფინანსური ხარჯი	9	(590)	(714)
ფინანსური შემოსავალი		350	352
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(24)	35
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	10	270	19
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(49)	(102)
მოგება გადასახადების გადახდამდე		4,509	6,747
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		4,509	6,747

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანასტასია თოფურაძე
დირექტორი



არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი



შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2018	2017
შემოსავალი თამაშობებიდან	5	36,917	38,611
სხვა საოპერაციო შემოსავალი		112	102
თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	6	(15,436)	(15,068)
საერთო მოგება		21,593	23,645
კომერციული ხარჯები	7	(7,157)	(7,244)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(9,884)	(9,244)
საოპერაციო მოგება		4,552	7,157
ფინანსური ხარჯი	9	(590)	(714)
ფინანსური შემოსავალი		350	352
მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან		(24)	35
სხვა არასაოპერაციო შემოსულობა	10	270	19
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	11	(49)	(102)
მოგება გადასახადების გადახდამდე		4,509	6,747
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული შემოსავალი		4,509	6,747

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭელაშვილი
ფინანსური დირექტორი

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	12	4,988	3,132	3,449
არამატერიალური აქტივები	13	1,400	1,714	1,703
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,388	4,846	5,152
მიმდინარე აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	14	248	282	175
წინასწარ გაწეული ხარჯები	15	1,424	1,953	1,559
გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები	16	5,844	5,333	5,049
ფული და ფულის ეკვივალენტები	17	1,212	1,438	1,467
სულ მიმდინარე აქტივები		8,728	9,006	8,250
სულ აქტივები		15,116	13,852	13,402
კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი	18	502	2	120
გაუნაწილებელი მოგება	18	2,032	2,973	267
სულ კაპიტალი		2,534	2,975	387
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	19	6,561	6,930	10,200
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		6,561	6,930	10,200
მიმდინარე ვალდებულებები				
საგადასახადო ვალდებულებები	20	622	319	375
გადასახდელი დივიდენდები	18	222	727	655
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21	5,177	2,901	1,785
სულ მიმდინარე ვალდებულებები		6,021	3,947	2,815
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,116	13,852	13,402

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
1 იანვარი 2017	120	267	387
კაპიტალის შემცირება	(118)	-	(118)
გამოცხადებული დივიდენდები	-	(4,041)	(4,041)
წლის სრული შემოსავალი	-	6,747	6,747
31 დეკემბერი 2017	2	2,973	2,975
კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 18)	500	-	500
გამოცხადებული დივიდენდები	-	(5,450)	(5,450)
წლის სრული შემოსავალი	-	4,509	4,509
31 დეკემბერი 2018	502	2,032	2,534

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2018	2017
წლის სრული მოგება	4,509	6,747
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	717	601
ფინანსური შემოსავალი	(350)	(352)
ფინანსური ხარჯი	590	714
საკურსო მოგება/(ზარალი)	24	(35)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე	5,490	7,675
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	34	(107)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(511)	(284)
ცვლილებები წინასწარ გაწეულ ხარჯებში	529	(394)
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	303	(56)
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,265	1,112
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	8,110	7,946
გადახდილი პროცენტი	(590)	(714)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,520	7,232
საინვესტიციო აქტივობები		
საწესდებო კაპიტალი	500	(118)
გაცემული სესხი	489	280
მიღებული პროცენტი	5	9
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(2,259)	(295)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,265)	(124)
ფინანსური აქტივობები		
მიღებული სესხი	2,583	2,569
დაფარული სესხი	(3,095)	(5,740)
გადახდილი დივიდენდი	(5,955)	(3,969)
ნეტო წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსურ აქტივობებში	(6,467)	(7,140)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(212)	(32)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	1,438	1,467
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(14)	3
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,212	1,438

1. კორპორატიული ინფორმაცია

ს გემბლინგ ჰოლი (შემდგომში კომპანია) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2015 წლის 9 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404497273.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1. კომპანიის სათაო ოფისი მდებარეობს იურიდიულ მისამართზე, ხოლო საქმიანობის ადგილებია თბილისში არსებული ორი და ბათუმში არსებული ერთი ფილიალი სადაც მომხმარებლებს შეუძლიათ სხვადასხვა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებული სერვისების მიღება როგორცაა სათამაშო აპარატები, ტოტალიზატორი, ვირტუალური თამაშები და კენო. კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი გენერირდება სათამაშო აპარატებიდან.

კომპანიის მეწილეები: 2017 წლის 1 იანვარის მდგომარეობით კომპანიის მეწილეებს წარადგენდნენ:

1. თენგიზ ფერაძე - 75.00%
2. ავთანდილ წერეთელი - 25.00%

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რამდენჯერმე შეიცვალა კომპანიის მეწილეების სტრუქტურა და მათ მფლობელობაში არსებული წილები: 2017 წლის 15 თებერვლიდან კომპანიის 100.00% წილის მფლობელია თენგიზ ფერაძე. 2018 წლის 12 თებერვლიდან საანგარიშგებო პერიოდის ბოლომდე კომპანიის მეწილეები არიან:

1. თენგიზ ფერაძე - 50.00%
2. თეიმურაზ უგულავა - 50.00%

გადაწყვეტილებები მიიღება ერთობლივად.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“. კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გარდა, მსს ფასს-ით მოითხოვება 2018 წლის 31 დეკემბერს მოქმედი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების რეტროსპექტიული გამოყენება საწყისი, მსს ფასს-თან შესაბამისი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისთვის 2017 წლის 1 იანვრისთვის და ყველა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში, რომელიც წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული საერთაშორისო სტანდარტის პირველადი გამოყენება. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის, ასევე 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, 2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად, აქამდე კომპანიას არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისად მსს ფასს-ებზე გადასვლას არ გამოუწვევია საწყისი ნაშთების კორექტირება.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გამოიყენა სავალდებულო გამონაკლისები და აირჩია ისარგებლოს ნებაყოფლობითი შეღავათით 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული მსს ფასს-ის შესაბამის ანგარიშგებისთვის, შეღავათის გამოყენების ეფექტი გავრცელდება რეტროსპექტიულად სტანდარტზე გადასვლის თარიღით და შემდგომ პერიოდებში:

რეალური ღირებულება, როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ძირითადი საშუალებები შეფასებულია თვითღირებულებით, კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს რეალური ღირებულება როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის.

კომპანიამ არ გამოიყენა რაიმე სახის ზოგადი გამონაკლისები მსს ფასს სტანდარტის 35.11 ნაწილის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო

პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, სადაც კომპანია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 წლის 31 დეკემბრის, 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 1 იანვრის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

		საქართველოს ეროვნული ბანკის	
		ოფიციალური კურსი	
		აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2018	წლის 31 დეკემბრისთვის	2,6766	3,0701
კურსი 2017	წლის 31 დეკემბრისთვის	2,5922	3,1044
კურსი 2017	წლის 1 იანვრისთვის	2,6468	2,7940

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ თანხებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების

შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

დაუმთავრებელი მშენებლობა. დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულება მოიცავს მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებულ მასალებს და შრომის ანაზღაურებას, იმ ძირითადი საშუალებების ცვეთას, რომელიც მონაწილეობას ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადებ ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე შეყვანილია კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის. დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
ნაგებობები	10-20
მანქანა-დანადგარები და სხვა ელექტრონული მოწყობილობები	3-10
სათამაშო აპარატები	2-5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-10
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5-10
სხვა	5-10

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე საღრიცხო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
საბუღალტრო პროგრამები	5-10 წელი
სხვა	1-5 წელი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალეზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საექვო ვალეზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა კომპანიას. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსი გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული

იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებულ საქონელზე/მომსახურებაზე შეთანხმებული კომპენსაციის თანხას. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება საიმედოდ შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის

შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

• **სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი.** ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე. ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

• **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.** აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდის. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი თამაშობებიდან

	2018	2017
წმინდა შემოსავლები სლოტებიდან	33,616	34,099
წმინდა შემოსავლები სამორინიდან	2,678	4,339
წმინდა შემოსავლები ტოტალიზატორიდან	481	(96)
წმინდა შემოსავლები ვირტუალური თამაშობებიდან	85	173
წმინდა შემოსავლები კენოდან	57	96
ჯამი	36,917	38,611

მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, 2018 წლის დეკემბერში ბათუმში მდებარე სამორინემ, ფუნქციონირება შეწყვიტა, მენეჯმენტის სტრატეგიული გადაწყვეტილებით უფრო მეტი კონცენტრირება მოხდება კომპანიის ძირითად საქმიანობაზე.

6. თამაშობებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2018	2017
მოსაკრებლების ხარჯები	(7,932)	(8,032)
ხელფასი და სხვა სარგებელი	(4,189)	(4,003)
სანებართვო ხარჯები	(3,138)	(2,994)
ცვეთის ხარჯი	(177)	(39)
ჯამი	(15,436)	(15,068)

7. კომერციული ხარჯები

კომერციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2018	2017
საიჯარო ხარჯები	(5,138)	(5,581)
წამახალისებელი გათამაშების ხარჯები	(941)	(686)
მომხმარებელთა კვებისა და ტრანსპორტირების ხარჯები	(621)	(510)
სარეკლამო ხარჯი	(91)	(105)
ცვეთა და ამორტიზაცია	(22)	(10)
სხვა	(344)	(352)
ჯამი	(7,157)	(7,244)

8. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2018	2017
ხელფასი და სხვა სარგებელი	(6,712)	(6,366)
კომუნალური და საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი	(1,170)	(1,089)
ცვეთა და ამორტიზაცია	(518)	(552)
საექსპლოატაციო ხარჯები	(288)	(177)
იჯარა	(271)	(228)
საკანცელარიო და სხვა საოფისე ხარჯი	(253)	(245)
ბანკის მომსახურების საკომისიო	(81)	(68)
საგადასახადო ხარჯები	(73)	(99)
მოხმარებული საწვავი	(41)	(20)
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	(34)	(18)
სხვა ხარჯები	(443)	(382)
ჯამი	(9,884)	(9,244)

9. ფინანსური ხარჯი

	2018	2017
საპროცენტო ხარჯი უცხოურ ვალუტაში მიღებულ დაფინანსებაზე	(568)	(555)
საპროცენტო ხარჯი ლარში მიღებულ დაფინანსებაზე	(22)	(159)
ჯამი	(590)	(714)

10. სხვა არასაოპერაციო შემოსულობა

2018 წელს კომპანიაში ჩატარდა ინვენტარიზაცია. აღმოჩენილი იქნა გარკვეული რაოდენობის ძირითადი საშუალებები, რომლებიც არ იყო აღრიცხული ბუღალტრულ ბაზაში. კომპანიამ მოახდინა აღურიცხავი ძირითადი საშუალებების აღიარება რეალური ღირებულებით, 266 ლარის მოცულობით.

11. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2018	2017
დარიცხული საურავი	(47)	(94)
სხვა	(2)	(8)
ჯამი	(49)	(102)

შპს „ს გემბლინგ კოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

12. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნა- ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და სხვა ელექტრონული მოწყობილობები	სათამაშო აპარატები	ავეჯი, ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ ძირითადი საშუალებები
2017 წლის 1 იანვარი	1,223	282	189	1,923	325	3,942
შემოსვლა	15	81	86	60	251	493
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(1)	(36)	(177)	(214)
2017 წლის 31 დეკემბერი	1,238	363	274	1,947	399	4,221
შემოსვლა	-	50	2,140	644	65	2,899
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(130)	(115)	(103)	(348)
2018 წლის 31 დეკემბერი	1,238	413	2,284	2,476	361	6,772
დაგროვილი ცვეთა						
2017 წლის 1 იანვარი	(229)	(33)	(22)	(203)	(6)	(493)
ცვეთის ხარჯი	(240)	(41)	(34)	(282)	(4)	(601)
გასვლა	-	-	-	5	-	5
2017 წლის 31 დეკემბერი	(469)	(74)	(56)	(480)	(10)	(1,089)
ცვეთის ხარჯი	(124)	(60)	(158)	(367)	(8)	(717)
გასვლა	-	-	12	3	7	22
2018 წლის 31 დეკემბერი	(593)	(134)	(202)	(844)	(11)	(1,784)
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვარი	994	249	167	1,720	319	3,449
2017 წლის 31 დეკემბერი	769	289	218	1,467	389	3,132
2018 წლის 31 დეკემბერი	645	279	2,082	1,632	350	4,988

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალურ აქტივებში 1,351 ლარი (2017 – 1,702 ლარი) წარმოადგენს აზარტულ თამაშობებთან დაკავშირებული ლიცენზიების ნარჩენ ღირებულებას. დანარჩენი კი სასაქონლო ნიშანს და სხვა არამატერიალურ აქტივებს.

14. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგის ნაშთი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი ფორმით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სათადარიგო-სარემონტო მასალები	134	138	23
პერსონალის აღჭურვილობა	23	4	1
საქონელი და ნახევარფაბრიკატები	5	13	9
სხვა	86	127	142
ჯამი	248	282	175

15. წინასწარ გაწეული ხარჯები

საქართველოს კანონით „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლების შესახებ“ განსაზღვრულია თითოეულ სამორინეს მაგიდასა და სათამაშო აპარატზე, ასევე სხვადასხვა თამაშობების მოწყობაზე, ფიქსირებული მოსაკრებლის ტარიფები. კომპანია ვალდებულია მოსაკრებელი შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის დადგომამდე სრულად გადაიხადოს, რაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის გამოდის წინასწარ გაწეული ხარჯები.

16. გაცემული სესხები და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
გაცემული სესხი	4,309	3,820	3,541
მოთხოვნა წილის გაყიდვიდან (შენიშვნა 24)	1,400	1,400	1,400
გადახდილი ავანსები	30	22	53
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	24	3	2
სხვა მოთხოვნები	81	88	53
ჯამი	5,844	5,333	5,049

17. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
ნაღდი ფული	1,195	1,409	1,458
ფული ბანკში	17	29	9
ჯამი	1,212	1,438	1,467

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ოდენობა გაწერილია წესდების მიხედვით და შეადგენს 200 ლარს (ერთეულ ლარში). წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 700 ლარით და შემცირდა 200 ლარით. ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია პირველ შენიშვნაში.

დივიდენდები

პარტნიორთა კრება წყვეტს გასაცემი დივიდენდების ოდენობის საკითხს და ადგენს დივიდენდების გაცემის და პარტნიორებს შორის განაწილების წესს.

2017 და 2018 წელს დივიდენდის გამოცხადება და გაცემა ხდებოდა პერიოდულად, 2017 წლის განმავლობაში გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 3,969 ლარი, ხოლო 2018 წელს 5,955 ლარი.

19. გრძელვადიანი სესხები

ინფორმაცია მიღებულ სესხებზე შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სესხი ეროვნულ ვალუტაში	1,000	-	3,770
სესხი უცხოურ ვალუტაში	5,561	6,930	6,430
სულ გრძელვადიანი სესხები	6,561	6,930	10,200

კომპანიამ სს ვითიბი ბანკისგან 2016 წლის 22 მარტს აიღო 2,500 აშშ დოლარის ოდენობის სესხი, რომლის მიზნობრიობასაც წარმოადგენდა საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების დაფინანსება. სესხის საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრა ფიქსირებული წლიური 9%-ით, ხოლო დაფარვის ვადა 84 თვით (7 წელი). კომპანიას ვითიბი ბანკში ასევე გახსნილი აქვს საკრედიტო ხაზი ლარში მაქსიმალური ლიმიტით 1,000 ლარი.

კომპანიამ სს "საქართველოს ბანკისგან" 2017 წლის 23 ოქტომბერს აიღო 600,000 აშშ დოლარის ოდენობის სესხი. სესხის საპროცენტო განაკვეთია ფიქსირებული 11%, ხოლო დაფარვის ვადა - 24 თვე.

20. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად, ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე, შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი

ძალაშია 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ დაწყებული საგადასახადო პერიოდებისთვის. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მოგების გადასახადის ხარჯს და გადავადებულ მოგების გადასახადს, კოდექსის შესაბამისად გამონაკლის შემთხვევებში გადახდილი გადასახადი მოგების გადასახადის ნაცვლად აღიარდება სხვა საგადასახადო ხარჯებთან ერთად.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

21. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
სავაჭრო ვალდებულებები	4,747	2,847	1,557
გადასახდელი ხელფასები	406	54	228
მიღებული ავანსები	19	-	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5	-	-
ჯამი	5,177	2,901	1,785

22. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები. დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული რაიმე სასამართლო დავის შედეგად. აქედან გამომდინარე, ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის შექმნილი რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

გადასახადები. საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონმდებლობით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ მაქსიმუმ წინა სამი წლის პერიოდზე.

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5	-	-

სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

კომპანია	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	1 იანვარი 2017
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2,091	1,081	236
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	834	632	318

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

23. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

კომპანია	დაკავშირების სახე	2018	2017
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	5	42

შეძენა დაკავშირებული მხარისგან

კომპანია	დაკავშირების სახე	2018	2017
შპს „S ინვესტი“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	2,187	1,969
შპს „ამატიკ ჯორჯია“	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	597	517

ოპერაციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2018	2017
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები და სხვა სარგებელი	646	724

24. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2016 წელს კომპანიამ გაყიდა საკუთარი წილი კომპანია შპს „ს ბათუმში“, რის შედეგადაც წარმოიქმნა მოთხოვნა ბესიკ ოქროპირიძის მიმართ 1,400 ლარის ოდენობით. აღნიშნული მოთხოვნა სრულად დაიფარა 2019 წელს.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

ს გემბლინგ ჰოლი (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია ანასტასია თოფურიძე, დირექტორს ნიშნავს პარტნიორთა კრება, რომელიც შედგება ერთი პარტნიორისგან: ივანე თარხნიშვილი.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები: კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობა. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის გენერირების მთავარ წყაროს, უმნიშვნელო გამონაკლისების გარდა.

კომპანიის შემოსავლები ტერიტორიული განაწილების მიხედვით არის შემდეგი:

	2018	2017
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - საბურთალოს ფილიალი	23,753	23,973
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - გლდანის ფილიალი	7,827	7,842
წმინდა შემოსავალი თამაშობებიდან - ბათუმის ფილიალი	5,337	6,796
	36,917	38,611

ბიზნეს პროცესები

კომპანიის ბიზნეს პროცესი სრულად ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, სამ ფილიალში: თბილისში - საბურთალოსა და გლდანში, ასევე ბათუმში.

კომპანიის ცენტრალური ოფისი მდებარეობს შემდეგ მისამართზე - საქართველო, ქ. თბილისი, მთაწმინდის რაიონი, ამაღლების ქ., N 12, სად. 1, სართული 1, ბ. 1.

კომპანიის ძირითადი შემოსავალი აკუმულირდება სლოტებიდან, რომელზეც მოდის მთლიანი წმინდა შემოსავლის 91%.

კომპანიის შემოსავლები ტიპების მიხედვით არის შემდეგი:

	2018	2017
წმინდა შემოსავალი სლოტებიდან	33,616	34,099
წმინდა შემოსავალი სამორინიდან	2,678	4,339
წმინდა შემოსავალი ტოტალიზატორიდან	481	(96)
წმინდა შემოსავალი ვირტუალური თამაშობებიდან	85	173
წმინდა შემოსავალი კენოდან	57	96
სულ წმინდა შემოსავალი აზარტული თამაშებიდან	36,917	38,611

კომპანიის სტრუქტურა.


კომპანიის გენერალური დირექტორი 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 5 აპრილამდე პერიოდში იყო თენგიზ ფერაძე, 2019 წლის 5 აპრილიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში კი ანასტასია თოფურიძე. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ამტკიცებს პარტნიორთა კრება.

შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის წმინდა შემოსავალმა შეადგინა 38,611 ლარი, რაც 4,39%-ით ჩამორჩება 2017 წლის ანალოგიურ მონაცემს. კომპანიის შემოსავლების დინამიკა ბოლო 3 წლის განმავლობაში:



ძირითადი კოეფიციენტები:

	2018	2017
სულ წმინდა შემოსავალი	36,917	38,611
სულ აქტივები	11,186	10,410
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	613	690
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.76	1.39
EBIDTA	4,751	7,064
ROCE	49.6%	68.1%

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 541-დან 640-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამკირავებელი, შპს „ს გემბლინგ ჰოლი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანიის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები(გაგრძელება)

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანიის ბიზნეს პროცესის შეუფერხებლად წარმართვისთვის ძირითადი მომსახურების გამწვევი კომპანიები არიან: შპს „ამატეკ ჯორჯია“, შპს „ევრო გეიმს ტექნოლოჯი ჯორჯია“, შპს „S ინვესტი“. კომპანიის მომხმარებლები არიან როგორც საქართველოს მოქალაქეები, ასევე საქართველოს ვიზიტორები.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შპს „ს გემბლინგ ჰოლის“ ბიზნეს პროცესი მთლიანად რეგულირდება საქართველოს კანონით ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ და ასევე საქართველოს კანონით სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ.

კომპანიაში მიმდინარეობს საგადასახადო შემოწმება, შესამოწმებელი პერიოდი წარმოადგენს 2015 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 მარტის ჩათვლით საანგარიშგებო პერიოდი.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია ბაზრის მოთხოვნის და გრძელვადიანი სტრატეგიის შესაბამისად ლოკაციების მოძიება ახალი ფილიალების გახსნისთვის, არსებულ ფილიალებში სათამაშო აპარატების და თამაშების სახეობების მრავალფეროვნების შენარჩუნება. ტექნოლოგიური სიახლეების შესაბამისად ახალი თაობის სათამაშო აპარატების შემოტანაზე დროული გადაწყვეტილებების მიღება.

მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესში არ არის დასრულებული მუშაობა კომპანიის გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიის შემუშავებაზე, რის საფუძველზეც უნდა განისაზღვროს მომავალი ბიზნეს გეგმის ძირითადი მიმართულებები. კომპანიის დამფუძნებელი და მენეჯმენტი გადაწყვეტილებებს მიიღებს ანგარიშში მოცემული ძირითადი მიმართულებების მიხედვით. ამ ეტაპზე მენეჯმენტი ასევე აქტიურად მუშაობს არსებული ბიზნეს პროცესების სრულყოფასა და მომსახურების ხარისხში კონტროლის პროცედურების გაუმჯობესებაზე.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2018 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2018 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები.

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2018	2017	გადახრის ახსნა
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,172	2,948	შენიშვნა 1
ძირითადი საშუალებები ნეტო	4,988	3,132	შენიშვნა 2

შენიშვნა #1:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მკვეთრი ზრდა გამოწვეულია დაკავშირებულ კომპანიებთან შპს „S ინვესტთან“ და შპს „ამატიკ ჯორჯიასთან“ ვალდებულებების ზრდის გამო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს კრედიტორული დავალიანებები 2019 წლის განმავლობაში დაფარულია სრულად.

შენიშვნა #2:

წინა საანგარიშგებო პერიოდებში კომპანია სათამაშო პროცესს ძირითადად წარმართავდა იჯარის წესით აღებული სათამაშო აპარატებით; 2018 წელს კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ თავად შეეძინა სათამაშო აპარატები.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2018	2017
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,729.6	3,726.4
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	15.1	16.2
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,345.5	4,046.8
მშპ-ის რეალური ზრდა, %	4.7%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	2.60%	6.0%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,232.0	1,347.0
უმუშევრობის დონე, %	12.70%	13.90%

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არ გააჩნია საკრედიტო რისკი.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვა რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს:



7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები(გაგრძელება)

მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება ერთი მხრივ უცხოურ ვალუტაში მოზიდული ფინანსური რესურსებით და მეორეს მხრივ უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით. კომპანია არ იყენებს სავალუტო რისკის დაზღვევისთვის რაიმე ტიპის ინსტრუმენტებს გარდა თავისუფალი ფულადი სახსრებით უცხოურ ვალუტაში არსებული საკრედიტო ხაზის დაფარვის პრიორიტეტულობა, კურსებთან დაკავშირებული მოლოდინების გათვალისწინებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე.

საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკს მენეჯმენტი არ განიხილავს მნიშვნელოვან რისკ ფაქტორად.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2019 წლის 27 სექტემბერს:

ანასტასია თოფურიძე
დირექტორი

არმაზ ჯინჭველაშვილი
ფინანსური დირექტორი